№ 48 მარტი 5, კვირა 1889 მარტი 5 კვირა № 48

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

ქართული თეატრი

კვირას, 5 მარტს

ქართულის თეატრის არტისტი

ვ. ა. აბაშიძე

გამართავს სალიტერატურო საღამოს:

I

ყვარყვარე ათაბაგი

ისტორიული ტრაგედია 3 მოქ.

II

დივერტისმენტი

III

ცხოველი სურათები

თ. ილია ჭავჭავაძის პოემიდამ

განდეგილი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნი ყიფიანი, აბაშიძე, გუნია, ბალანჩივაძე, ცაგარელი, მოხევე, ნებიერიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ორკესტრი სხვათა შორის დაუკრავს ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილ პოპურის.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

წევრნი კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოებისა მიწვეულ არიან მორიგს კრებაზედ, რომელიც დანიშნულია სამშაბათს, 7-ს მარტს, საღამოს 7½ საათზედ.

განსახილველად არის დანიშნული შემდეგი საგნები:

1) მორიგი საქმენი;

2) მოხსენება ნამდვილის წევრისა ა. ა. ვარშამოვისა შესახებ ხილის ბაღთა პატრონების ამხანაგობისა ბაღის მოსავლის ვაჭრობის განკარგებისათვის.

გარეშე პირთაც ნება აქვთ დაესწრნენ ამ კრებაზედ.

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ ამით აცხადებს, რომ ვინაიდგან საგანგებო კრება ამა საზოგადოებისა არ შესდგა ამ 1889 წლის 26 თებერვალს, ხელ-მეორედ ჰნიშნავს კრებას ამ წლის 12 მარტს, დილის 11 საათზედ და სთხოვს წესდების ძალით (შენიშვნა § 7) წევრთ დამფუძნებელთ ტფილისის საადგილმამულო ბანკისას და სხვათა საპატიო და ნამდვილ წევრთა ამა საზოგადოებისათა მობრძანდნენ აღნიშნულს დროს თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

განსახილველი საგანი არის:

გამგე კომიტეტის მოხსენება, თუ როგორ და რა საშვალებით მოუპოვონ სკოლას საკუთარი და შესაფერი სახლი. (2—1)

ტფილისი, 4 მარტი

რაც უნდა ვილაპარაკოთ ჩვენის ერის უსწავლელობასა და უმეცრებაზე, ჩვენის მწერლობის სიღარიბესა, თუ უფერულობაზე, იმისი უარყოფა არავის შეუძლიან, რომ ჩვენში, რაც დღე მიდის, მწერლობაც იზრდება და სწავლა-განათლებაც ფეხს იკიდებს და ვრცელდება. ამ ოც-და-ხუთის, ოც-და-ათის წლის წინად ქართული ჟურნალ-გაზეთი ახალი ხილი იყო და ქართული წიგნიც იშვიათად იბეჭდებოდა. სკოლა ხომ სულ ცოტა იყო და განათლებული კაცი თუ ქალი სანთლით საძებნელი იყო, მაგრამ გავიდა დრო და ჟამი და ერის საჭიროებამ თავისი გაიტანა. დღეს ყველასათვის უეჭველი და ცხადია, რომ ჩვენი საზოგადოება თუ ერი ჰგრძნობს საჭიროებას საკუთარის მწერლობისა და სწავლა-განათლებისას.

ამისი საბუთი სხვათა შორის ისიც არის, რომ ამ რამდენსამე წელიწადში ჩვენს ქალაქებსა და დაბებშიაც იმართება ქართულის წიგნების მაღაზიები და ზოგს ადგილას წიგნებიც საკმაოდ ისყიდება და ეს ხომ იმას გვიმტკიცებს, რომ წერა-კითხვა თანდათან ვრცელდება. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ათხოვოს ყველამ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება და საქმე აქვს მწერლობასთან. საზრუნველი და სანაღვლელი ის არის, რომ ერს გასაგები, საამო, სასარგებლო საკითხავი მივაწოდოთ ხოლმე, ამითი წერა-კითხვის სურვილი და საჭიროება გავუძლიეროთ და მწერლობასაც ფერი და იერი შევმატოთ. საქმე ის არის, რომ დღეს ქართულს ენაზე მრავალი წიგნი იბეჭდება და კიდეც ვრცელდება, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი უხეირო და შეუსაბამო წიგნი იბეჭდება. რაც კარგი რამ იბეჭდება, ზოგჯერ იმასაც გამომცემლის თუ ავტორის უზრუნველობა და გამოუცდელობა ეტყობა. ვინ გინდა, რომ ჩვენში დღეს წიგნებს არა სწერდეს და არა ჰბეჭდავდეს და ეს არის იმისი მიზეზი, რომ ბევრი უხეირო რამ იწერება და ხალხს ეძლევა საკითხავად.

ამ არა-სასიამოვნო გარემოებას უსათუოდ ყურადღება უნდა ათხოვონ იმათ, ვინც განათლებისა და მწერლობის მოსარჩლე და მოკეთეა. აუცილებლად საჭიროა ჩვენში, როგორც სხვა ქვეყნებშია, დაარსდეს მწერალთა თუ გამომცემელთა ამხანაგობა, რომელმაც შრომა უნდა დასდოს, რათა კარგს ფეხზე დააყენოს წიგნების ბეჭდვა და გამოცემა. ამ გვარს ამხანაგობას გარდა იმისა, რომ შეუძლიან თითონა სთარგმნოს თუ სწეროს წიგნები და აგრეთვე ჰბეჭდოს, უნდა მიჰმართოს მწერალთა თუ გამომცემელთ, უჩვენოს რა წიგნია საჭირო და სთხოვოს გადათარგმნა თუ დაწერა. ამხანაგობა თანამგრძნობელთა და დამხმარეთა რომ მოიპოვებს, ეჭვი არ არის. ჩვენი ახალგაზდობა, სტუდენტობა, მწერლები და მთარგმნელები შეძლებისადა გვარად უეჭველად ხელს მოუმართავენ და რიგიანს წიგნს, ჩვენის ერისა და საზოგადოების შესაფერს, უსათუოდ ექნება ბაზარი. ამავე ამხანაგობას შეუძლიან ჩვენის ძველისა და ახალის მწერლობის ნაწერებიც გამოსცეს და ამ ნაირად სხვა-და-სხვა ჟურნალსა თუ გაზეთში გაბნეული ნაწერები, დღემდე დიდ-ძალ მკითხველისათვის ხელმიუწვდომელი, გაავრცელოს.

ძველისა და ახალის ნაწერების ბეჭდვას შესაძლოა ხელი მოჰკიდოს «წერა-კითხვის საზოგადოებამაც». მართალია, ამ საზოგადოებას რამდენიმე წიგნი უკვე დაუბეჭდია და გამოუცია, მაგრამ სასურველია, რომ ამ საქმეს უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდოს.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 4-ს ამ თვისას, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში დაიწყეს გარჩევა საობლო სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფის შანშიევის საქმისა, რომელსაც ბრალდება სასამართლოს ფულების გაფლანგვა და სხვა-და-სხვა დანაშაულობა.

⁂ იმავე სასამართლოს პალატის სამოქალაქო განყოფილებაში ამავე დღეს დაიწყეს გარჩევა ქალაქ ბაქოს საქმისა ქალაქის საძოვარ მამულების გამოჯვნისა. ეს საქმე იმითი არის შესანიშნავი, რომ შვიდასზე მეტს კაცს ეხება. სადაო მამული ორი ათასზე მეტია და ორ მილიონამდე ჰფასობს.

⁂ ბ-ნი იაკობ ივანესძე რაშეტი, რომელიც ტფილისის სამოსამართლო პალატაში წევრად მსახურებდა და მთელს კავკასიაში კარგად ცნობილია, კიევის სამოსამართლო პალატიდგან, სადაც ტფილისიდგან იყო გადაყვანილი, სარატოვის გუბერნიაში გადაუყვანიათ ამავ თანამდებობაზე.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლო პალატის პროკურორად, ბ-ნ ჩაიკოვსკის მაგივრად, რომელიც ტფილისის ვიცე-გუბერნატორად დაინიშნა, სასამართლოს პროკურორად დანიშნულია პეტერბურგის პალატის პროკურორის ამხანაგი ბ-ნი პოზნანსკი.

⁂ ჩვენ შევიტყვეთ, რომ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» განზრახვა აქვს გამართოს დიდ-მარხვის მეოთხე-მეხუთე კვირას განსაკუთრებით ქართული კონცერტი. კონცერტში მონაწილეობის მიღება საზოგადოებამ უნდა სთხოვოს თ. ციციაანთ გარდა სხვა ქართლის შესანიშნავს მომღერლებსაც.

⁂ იბეჭდება და მალე ცალკე წი-

ფელეტონი

ქართველ ქალთათვის განზრახული სკოლის გამო.

ბევრი თქმულა როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაშიაც იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას ადამიანთა ცხოვრებაში. ეხლანდელ დროში ნასწავლს თუ უსწავლელს, მდიდარსა თუ ღარიბს,— თითქმის ყველას ესმის სკოლის სარგებლობა და ყველა სცდილობს რითიმე დახმარება აღმოუჩინოს ამ სასარგებლო დაწესებულებას ან საქმით და ან სიტყვით. მაგრამ უფრო მეტს ლაპარაკობენ ხოლმე ვაჟების სკოლებზე და მათ მნიშვნელობაზე. ჩემის ფიქრით-კი, თუ მეტი არა, ნაკლები სასარგებლო არ არის ქალების სკოლა, რომელზედაც უფრო ნაკლებად ჰფიქრობენ და ლაპარაკობენ. ქალის აღზრდას როგორც ზნეობით, ისე გონებით უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება იმ საზოგადოებამ, რომელიც თავისს მერმისზე ჰზრუნავს. ქალი ისეთი ძალაა, რომელსაც, თუ ხეირიანისა და კარგის მიმართულებისაა, შეუძლიან დიდი სარგებლობა შესძინოს საზოგადოებას; პირ-იქით, თუ ცუდის მიმართულებისაა, მაშინ ხომ დიდად მავნე და დამღუპველი იქნება. ქალს, როგორც ცოლს, როგორც დედას და როგორც დას საზოგადოებაში ისეთი ადგილი ეკუთვნის, რომ შეუძლებელია გავლენა არ იქონიოს საზოგადო ცხოვრებაზე. საზოგადოება შესდგება იმ ნაწილებიდგან, რომელსაც ოჯახს უწოდებენ, და ამ ნაწილების ავ-კარგიანობაზეა დამყერებული მთელის საზოგადოების ავ-კარგიანობაც. ოჯახის ავ-კარგიანობა-კი უფრო მეტად ქალზედ არის დამოკიდებული. ქალი ამხნევებს ქმარს საზოგადო მოღვაწეობაში, თუ ესმის ამ მოღვაწეობის სარგებლობა, ქალი სჩაგრავს და აბრკოლებს ქმრის მოქმედებას, თუ ცოდნა და მიმართულება ნებას არ აძლევს გაიგოს საზოგადო მოღვაწეობის სარგებლობა და მნიშვნელობა. ქალი ჰზრდის და ამზადებს შვილებს საზოგადოებისათვის, უნერგავს გულში სამშობლოს სიყვარულს და მის სასარგებლოდ შრომის სიყვარულს უდებს გულში, თუ თითონ ეს ყოველივე ესმის, და თუ არ ესმის, მაშინ-კი შვილებს ან სულ არავითარი მიმართულება არ აქვთ და ან ისე იზრდებიან, რომ არც მამულის სიყვარულს და არც საზოგადო მოღვაწეობის სურვილს ადგილი არა აქვს ამათ გულში. დედის გავლენის ქვეშ არის შვილი სანამ სკოლაში მიაბარებენ, დედის გავლენის ქვეშ არის მერეც უმეტეს ნაწილად, რადგანაც სკოლაში ყმაწვილი მხოლოდ 4—5 საათია დღეში და დანარჩენი დრო ისევ თავის ოჯახში. ყოველი დედა არის მასთანავე მასწავლებელი და აღმზრდელი თავის შვილების და იმასა და სკოლის მასწავლებელს შუა მხოლოდ ის განსხვავებაა რომ სკოლის მასწავლებელი მეტს რიცხვს ყმაწვილებისას ასწავლის, ვიდრე დედა. მაშ რატომ მასწავლებელს უნდა მოეთხოვოს ცოდნა და მომზადება თავისის მოვალეობის კეთილად და სინიდისიერად ასასრულებლად და დედას-კი არა? ქალს კიდევ უფრო დიდი მომზადება ეჭირება, რადგანაც, გარდა იმ მოვალეობისა, რომელიც მოვიხსენიეთ, იმან კიდევ უნდა იფიქროს თავის ოჯახის ნივთიერად გაუკეთესებაზე, გაუმჯობესობაზე, იმისს ეკონომიურს კეთილდღეობაზე და ამას ხომ სპეციალური მომზადება და ცოდნა ესაჭიროება. ყოველი სკოლა, ქალის იქნება თუ ვაჟისა, მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როცა იმისი პროგრამმა შედგენილია თვით ერის ყოფა-მდგომარეობისა და საჭიროების მიხედვით. ჩვენში ბევრია ქალის სასწავლებელი, როგორც დაბალი, ისე საშუალო, მაგრამ არც ერთი ისეთი არ არის, რომ ამ გვარი პროგრამა ჰქონდეს. ამიტომაც არის განსაკუთრებულის თანაგრძნობის ღირსი ის წრე ქართველ ქალებისა, რომელმაც შეიგნო ჩვენის საზოგადოების საჭიროება და შეუდგა ქალების მომავალის საშუალო სასწავლებლის პროგრამის შედგენას. ამ წრემ იგრძნო, რომ ქართველს ქალს შესაფერი აღზრდა და სწავლა-ცოდნა ეჭირება. ეს წრე მიხვდა, რომ ძველის ქართულის ქალის გრძნობა შეერთებული ეხლანდელ განათლებასთან ერთად მისცემს ქალს ისეთს ძალას, რომელსაც შეუძლიან საზოგადოება ფეხზე დააყენოს და მოასულიეროს.

ყველა, ვისაც ესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში გონიერსა და ნასწავლს ქალს, მოვალეა თანაგრძნობის ხელი გაუწვდინოს და დაეხმაროს იმ წრეს ქალებისას, რომელსაც ეს მოსაწონი განზრახვა აქვს. ამ განზრახვის შესრულება დამოკიდებულია იმაზე, შეგროვდება თუ არა საკმაო საშუალება, რომ გაიმართოს ასეთი სასწავლებელი. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობის თვალით შეხედავს ამ საქმეს და ეცდება ამ კეთილს განზრახვას ხელი მოუმართოს.

ქართველნო ქალებო, მივმართავ განსაკუთრებით თქვენს გრძნობას! ქალები ყველგან თანამგრძობელნი და ბურჯნი ყოფილან კეთილის აზრისა და საქმისა. ჩვენც ვაჩვენოთ ქვეყანას ამისი მაგალითი და ენერგიულად შევუდგეთ საქმეს, რომ ეს მშვენიერი დაწყებულება ჩვენის მეცადინეობითა და თავ-დადებით დავაგვირგვინოთ საქმით. ამით ცოტათ მაინც შევისყიდით იმ დანაშაულობას, რომელიც ჩვენ მიგვიძღვის ჩვენის სამშობლოს წინაშე.

ქართველი ქალი

◆

ისტორიული მიმოხილვა *)

VIII

ახლა გავსინჯოთ სხვა მხარეებიცა ქართველთ ცხოვრებისა. ერთი ლექსი

---

*) იხ. „ივერია“, № 45.

გნად გამოვა ახალი ქართული წიგნი „დარვინის თეორია და ენათ-მეცნიერება“, ლია წერილი ავგუსტ შლეიხერისა, თარგმნილი გერმანულიდგან.

⁂ მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოებას, როგორც ვიცით, განუზრახავს შესწავლა საქართველოს და კავკასიის ძველის ნაშთებისა. ამ დღეებში ტფილისში მოვიდა პირველი გამოცემა ხსენებულის საზოგადოებისა „Матаріалы по археологіи Кавказа“, რომელშიაც დაბეჭდილია ვრცელი გამოკვლევა პროფ. ვსევოლოდ მილლერისა. ამ წიგნში მოყვანილია ნიმუშები ძველთა ნაშთთა საჩეჩნესა და ოსეთში. უმეტესი ნაწილი ამ ნაშთებისა ქართულია. ერთ ეკკლესიაზედ აწერია ქორონიკონი 830 წელი. ამ წიგნის შესახებ ამ დღეებში ვრცელს შენიშვნას დავბეჭდავთ.

⁂ **ხიდნალი:** თებერვალმა ნახევრამდე მართლა დედობა გაგვიწია, მაგრამ მეორე ნახევრიდგან-კი ძალიან მოგვიჭირა, აღარ აგვახედა მაღლა, თოვლმა, წვიმამ, ქარმა და ჭყაპმა ილაჯი წაგვართვა; ისე აგვილაფა უამისოდაც ჰუჭყიანი ქუჩები, რომ ძაღლი არ გაიგდება. ყველიერმა მხიარულად ჩაიარა, წარმოდგენაც იყო გამართული, ყეინებიცა გვყავდნენ, მაგრამ უფერული იყო. ღამის რაინდები კიდევ ეწვივნენ ერთ მედუქნეს ნუკრიანში, მაგრამ ძვირად დაუჯდათ. შებძანდნენ როცა მარტო ერთ პატარა ყმაწვილსა სძინებოდა შიგ და აიწყეს, რაც-კი მოეწონათ. ამ პატარა ბიჭს გაეღვიძნა, მაგრამ შიშით ხმა ვერ გაეცა ქურდებისათვის. როცა გამობრუნდნენ და გადიოდნენ თურმე კარში, მაშინ ამ პატარამ ჩამოიღო თოფი, ესროლა ქურდებს და ერთი მათგანი დასჭრა მუცელსა და ხელში. ამ თოფის ხმაზე შეიყარა მეზობლები და იქვე გაბაწრეს მამაცი რაინდები და ჩამოაბძანეს სატუსაღოში. ერთ ფრიად საწყალ და უბედურ კაცს გ. მ—ს დაეწვა მდუღარე წყალში ოთხის წლის ყმაწვილი. როგორც ჰხედავთ არც თებერვალი წავიდა უბოროტოდ და უმსხვერპლოდ.

⁂ **სოფ. ამტნის-ხევი** (თიანეთის მაზრა): ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მღვდელმა, მ. ი. მრევლიშვილმა, მიჰმართა თიანეთის ადმინისტრაციას და სთხოვა განკარგულება შესახებ ხევსურების სალოცავის „იახსრის-ხატის“ დანგრევისა და მასთან ლოცვის მოსპობისა. ეს სალოცავი ამტნის-ხევის სკოლისა და ეკკლესიის ახლოს არის. საბუთად ბლაღოჩინს ის მოჰყავს, რომ ხევსურები ეკკლესიაში არ დაიარებიან და სკოლაშიაც მეტად მცირედი რიცხვია ხევსურების შვილებისა, რადგან „იახსარის-ხატი“, იმათის აზრით, აქ სიარულის დროს „დახელთავს“, ავად გახდის და გააგიჟებსო. „ხატის“ გაუქმების გამო უკვე მინდობილობა აქვს აქაურს ბოქაულს ბ-ნს ანდრონიკაშვილს და ვნახოთ რითი დაბოლოვდება ეს საქმე.

⁂ **ერწოს ხეობა:** თებერვლის 19—20 რიცხვებში ერწოს-ხეობის ხევსურებში შემდეგი უბედურება მოჰხდა: სოფ. თრანში მცხოვრები მიხეილ წიკლაური 19-ს თებერვალს, ალებ-ღამე საღამოს, ხშირ-ბინდისას, მომავალებულა თიანეთიდგან სოფელში. წიკლაური არაყ ნასვამი ყოფილა. ერწოს-ხეობის შუა მინდორს მდ. აძეძი ჩაუდის. მ. წიკლაურს ხიდიდგან-კი არ მოუვლია და პირდაპირ მდინარეში შეუგდია ცხენი. რამდენისამე დღის შემდეგ დამრჩვალი ცხენი და მ. წიკლაურის გვამი გამორიყული უპოვნიათ მდინარის ნაპირას. მდინარე ამ დროს მეტად ადიდებული ყოფილა.

⁂ **დ. ზუგდიდიდგან** (სამეგრელო) გვწერენ: აქაურმა მაზრის უფროსმა შემდეგი წესი დაადგინა ქურდობისა და ავკაცობის მოსასპობლად: უპირველესად დაიარა სათითაოდ მაზრის სოფლები, მოიწოდა მცხოვრებნი, აარჩევინა თითოეულს სოფელს ხუთ-ხუთი კეთილ-სინიდისიანი კაცი, რომლებსაც დაავალა ღამეებიდგან გათენებამდე სოფლის მწყემსვა. თუ საეჭვო კაცს შეხვდნენ, უნდა შეიპყრონ და წარუდგინონ მაზრის უფროსს. რომ ამ არჩეულმა ხუთმა სოფლის მწყემსმა სინიდისიერად აღასრულოს თავის მოვალეობა, თვალ-ყურის სადევნელად არის არჩეული ერთი კაცი თავად-აზნაურთაგან. რადგანაც მდ. ინგური არის საზღვარი სამურზაყანოს და სამეგრელოს შუა, ამისთვის ამ მდინარის ნაპირებზედაც ყარაულები არიან დაყენებულნი, რომ ქურდმა ნაპარავი საქონელი არ გაიყვანოს სამურზაყანოში. როდესაც ქურდი საქონელს მოიპარავს ზუგდიდის მაზრაში, უსათუოდ მდ. ინგურს მიადგება და სამურზაყანოს უნდა გადვიდეს, რადგანაც მეტი ბიჯი და გზა არა აქვს. სენაკის მაზრაში ვერ გადავა, რადგანაც დაჭერისა ეშინიან, სვანეთისკენაც არ წავა, რადგანაც ადგილის მდებარეობა და გზა ხელს არ უწყობს. მაშასადამე, ერთი ღა გზა რჩება სამურზაყანოსკენ და ამიტომ მდ. ინგურს ვერ ასცილდება. იმედიცა და საბუთიც გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს ახალი წესი ხელს შეუხუთავს ქურდებს. რაკი დარწმუნდებიან, რომ ნაპარავს ვერსად ვერ წაიყვანენ მაზრიდგან და გზა შეკრული ექმნებათ, მაშინ, რასაკვირველია, თავის ხელობას თავს დაანებებენ. ამ ახალმა წესმა თავისი ნაყოფი მოგვიტანა: ქურდობამ ძლიერ იკლო. გარდა ამისა ერთის თვის წინად მოვიდა სამაზრო სამართველოში მშვენიერის ცხენით და თავიდგან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი ერთი ვინმე ლაჭავა, რომელიც ოთხის წლის წინად საპყრობილიდგან გაქცეულა და ამ ოთხის წლის აბრაგობაში უთვალავი ავკაცობა ჩაუდენია. მოვიდა და სთხოვა მაზრის უფროსს: მართალია, ბევრი ავ-კაცობა მიმიძღვის, მაგრამ გთხოვთ მიშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს, რომ მაპატიონო. მეორეც, ერთი ვინმე კუჭავა, რომელსაც 18 წელი კატორღა ჰქონია გარდაწყვეტილი და რომელიც კავკავის გზიდგან მცველებს გამოჰქცევია, შეიპყრო პოლიციის ბოქაულმა გ. ბუნიამ და წარმოადგინა აქაურ მაზრის სამმართველოში.

⁂ **კაჯაჯა:** აქ დააგდეს ხმა, ვითომ ნაალდგომევს ტფილისის ქართული დრამატიული დასი აპირებს მოსვლასაო. ამ ამბავმა დიდად გვასიამოვნა აქაური ქართველები, რომელთაც თავის დღეში ქართული წარმოდგენა არ უნახავსთ. ნეტავი ვეღირსოთ ისეთს შემთხვევასა, რომ ჩვენს ენაზე წარმოდგენა გავიგონოთ. ყველანი იძახიან, საქართველოში ქართული როკვა (აწ ლეკურად წოდებული) ძალიან კარგად იციანო და ჩვენ-კი უბრალო ბიჭ-ბუჭების ცუნდრუკის მეტი არა გვინახავს-რა. აგრეთვე ქართულის ტკბილი სიმღერების მნატვრელნი ხომ ყოველთვის ვყოფილვართ და ვართ. ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ჩვენდა სასიამოვნოდ ეს კეთილი აზრი შეასრულოს ქართულმა დრამატიულმა დასმა.

⁂ **სოფ. კონდოლი** (კახეთში): კონდოლელებს და ტოლნიანლებს ამ ჟამად ერთი სკოლა გვაქვს, რომლის შენობაც ეს ორიოდე წელიწადია ავაგეთ ახალს გეგმაზე. ამ დრომდე ჩვენი შვილები უხეირო სახლებში სწავლობდნენ, რაიცა ხელს არ უწყობდა წესიერს სწავლას. გარდა ამისა მასწავლებელიც ხშირად გვეცვლებოდა ხოლმე და იმათ შრომას ჯეროვანი სარგებლობა არ მოჰქონდა. წარსულს წელს-კი თითქმის დეკემბრის დამლევამდე შეგვიჩერეს სწავლა ჩვენ სკოლაში და გვეგონა კიდეც—სკოლას გაგვიუქმებენო, რის გამოც დიდს ფაცი-ფუცსა და მწუხარებაში ვიყავით. წარმოიდგინეთ—ამდენის ფულის დახარჯვა შენობისათვის, მერე ოთხას-ხუთასი კომლი, რომლებსაც ერთად ერთი სკოლა გვაქვს და, რასაკვირველია, სკოლის გაუქმების ამბავს ყველა უნდა შეეწუხებინა. მიზეზი-კი ის გახლდათ, რომ სკოლის მასწავლებელმა ბ-ნ ხ—მა თავი დაანება თავის სამსახურს. ბოლოს-კი, ჩვენდა სასიხარულოდ, კონდოლელები კი დევ ვეღირსენით ახალს მასწავლებელს ბ-ნ ე. მიქ—ძეს. რაკი ახალი მასწავლებელი მოგვივიდა, ისევე დაიწყო სწავლა და 50 შეგირდი მოგროვდა. ერთ კვირის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი ავიდა 80-მდე და იმედია მეტიც იქნებოდა, მასწავლებელს რომ უარი არ ეთქვა სოფლელებისათვის შვილების მიღებაზე. მიზეზი უადგილობაა და «პარტების» უქონლობა. ჯერაც კიდევ ბევრს მოსწავლეს არა აქვს ადგილი და მათი მამები ისე მოწადინებული არიან შვილების სწავლაზედ, რომ, ბევრს მათგანს მოაქვს საკუთარი სკამი პატარა ვაჟისთვის ან ქალისთვის და ამ რიგად შეგირდები ზოგი ფანჯრებთან, ზოგი თვით მასწავლებლის სტოლთან გაფანტულნი ისმენენ სწავლას. ძლივს ჩვენც ვეღირსენით იმ დროს, რომ ჩვენმა გლეხ-კაცმა სცნო სწავლა-განათლების ძალა, სარგებლობა და შვილს სიამოვნებით ჰგზავნის სასწავლებელში.

სამწუხარო-კი ის არის, რომ სკოლას, ჩვენშიაცა და სხვაგანაც, «დედა-ენის» მეტი საკითხავი წიგნი ქართულს ენაზე არა აქვს-რა. კურს-შესრულებული ყმაწვილები სკოლიდგან რაკი გავლენ, ძნელად ჰპოულობენ წიგნებს და ამიტომაც მალე ავიწყდებათ ნასწავლი და ამით სკოლას სახელს უტეხენ. ორის ან სამის წლის შემდეგ ყმაწვილები ზოგჯერ ქართულ წერა-კითხვასაც-კი ივიწყებენ. ამისათვის ურიგო არ იქნება „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ეს სკოლების ნაკლი იქონიოს სახეში და უგზავნოს მათ საყმაწვილო წიგნები. ფული წიგნებისა საზოგადოებას შეუძლიან პირდაპირ მასწავლებელს მოსთხოვოს. ეჭვი არ არის, რომ წიგნები მალე გაიყიდება.

⁂ სამს ამ თვისას მეორე განყოფილებაში, ხევის ქუჩაზე, გენერლის ცოლის ტიხონოვისათვის მიუგდიათ ბავშვი დედათა სქესისა. ბავშვი სულ ახლად დაბადებულია. ყმაწვილი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

კახი (საინგილო). წარსულის წლის დამლევს „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ სოფ. კაკის ფერშალი დაძველდა და აღარასა ჰშველის ხალხსაო. ეს ამბავი მართალი იყო და არც დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. წელს, 3 თებერ-

---

ასე ჰხატავს ქართველთ ზნე-ჩვეულებას:

„პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაჟრობა ქართლელთ არაქმრასვისა,
ზრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა“...

როგორც ჰხედავთ, ლექსი ქართველებს მიაწერს ფრიად სანატრელს საუნჯეს: სიდარბაისლეს, ზრდილობას, პურადობას, ვაჟრობას, ლხინსა და მტრის რისხვასა, ომსა. თუ ლექსს დავუჯერეთ, გამოდის, რომ ქართველთ სჭირებიათ იგეთნი ზნენი, რომელთაც აღტაცებით იხსენიებენ, რომელთაც შეჰნატრიან ყველა ფილოსოფოსნი ძველისა და ახალის დროისანი. უეჭველია, რომ ყველა ეს ზნე მოიპოვება დაწინაურებულ, ზნე-ჩვეულებით და, მაშასადამე, კულტურითაც, განვითარებულ ხალხში. ზრდილობა, სიდარბაისლე იგეთი ზნეა, რომლის შესათვისებლად საჭიროა ხანგრძლივი ვარჯიშობა, ხანგრძლივი სწავლა და ჭკუის დიდი გამჭრიახობა. ზოგი ხალხია, რომელიც ველურობიდამ დიდი ხანია გამოსულია, მაგრამ იგი დღესაც მოუხეშავია. ზრდილობიანი ლაპარაკი, ზრდილობიანი ქცევა ჩვენში, მართლაც, ძველადგანვეა შემჩნეული. ვისაც ჰქონია შემთხვევა და ოდესმე ყოფილა დალოცვილს იმერეთში, ახალციხის მხარეში, იგი ცხადად დაინახავდა, თუ რა ხარისხამდეა იქ მისული სადარბაზო ეტიკეტი, ანუ ჩვენებურად სიდარბაისლე-ზრდილობა. უტყუარად შეიძლება ვსთქვათ, რომ ჩვენში წარსულ ისტორიულ საუკუნოებშივე შექმნილა საზრდილობა ენა. იგი იხმარება ისტორიულს ძველს სამწერლო ნაშთებშიაც და დღეს მდაბიო ხალხშიაც. შესამჩნევია, რომ მხოლოდ ტოლი ტოლთან ისაუბრებს ჩვეულებრივის ენით, ხოლო უმცროსი უფროსთან, ახალგაზდა მოხუცთან ანუ ყმა ბატონთან გინდ მოჰკლა მდაბიოთი არ იმეტყველებს. დღეს ყმაწვილმაც-კი იცის ფასი ჩვენის კლასიკურის ლექსებისა: მობრძანდი, ბატონო, დაბძანდი. როგორ მშვიდობით გიკითხოთ, თქვენი კვნესამე. ხომ კარგად მშვიდობით გახლავან თქვენები. ანუ კიდევ: გარდაიცვალა, უბრძანა, მოახსენა, მიართვა, უთავაზა, მაგიერ სიტყვებისა: მოკვდა, უთხრა, მისცა და სხ.

პურადობაც, ლხინიც და სტუმრის-მოყვარეობაც ფრიად სანუკვარი ზნეა. სტუმრის-მოყვარეობა ქართველთა ხომ კლასიკურის დროიდგანვეა შეემჩნეული. უსლარი თავის ღირს-სახსოვარ შრომაში განიხილავს რა ქრისტეს მოსვლის უწინარეს დროთა მწერლების ცნობებს შესახებ ქართველებისა, ამბობს: «როგორც ჰხედავთ, საქართველოში ძველის დროიდგანვე ყოფილა ცივილიზაცია. ძველი მწერლები ერთ-ხმივ აქებენ ქართველებს სტუმართ-მოყვარეობისათვის და დაზიანებულ მენავეთა დახმარებისათვის. ამათ ქართველნი ფულსაც აძლევდნენ, რომ გზაზედ არ დაშთენილიყვნენ და მშვიდობით მიეღწიათ თავის სამშობლომდე...“ ამ გვარადვე საყურადღებოა ბერძენთა ლეგენდა არგონავთებზე (მე-XII საუკუნე ქრ. წინად), რომელნიც მეფე ოტიამ ზარითა და ზეიმით მიიწვია თავის დარბაზში, სერი დაუგო და დიდი პურობა გაუმართა. მაგრამ სამტროდ მოსულმა მტერმა ქართველთ პურადობას უღალატა, სტუმართ მოყვარეობის წესი დაარღვია და გულ-უბრყვილო ოტიას მოსტაცა ოქროს-მატყლოსანი ვერძი.

საქართველოს ისტორიაში მრავალია მაგალითი სტუმართ-მოყვარეობისა, კარზე-მომდგარ, გაჭირებულ მტრისაც-კი შეწყნარება-დაპურებისა, მაგრამ რადგან ქართლის-ცხოვრება არა სწამთ, ისევ სხვა წყაროებს მივმართოთ.

უცხოელთ მწერალნი გადმოგვცემენ, რომ ქართველთ სავაჭრო გზებზედ შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე მანძილით-მანძილ მგზავრთათვის ჰქონდათ გამართული სადგურები და თავ-საფარნი. ქსენონნი ავადმყოფთა და უძლურთათვის საქართველოში დაიმართა ადრევე. მაჰმადიანთ მწერალი ალ-აინი დავით აღმაშენებელზე ამბობს, რომ იგი პატივით ექცეოდა ყველა ტომის ხალხს. უცხოელთათვის მან ააშენა ქარვასლები; სადგურები-კი მოქადაგეთა, სუფიებთა, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდაო. თუ ვინმე მათგანი ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უმართავდა და ფულს უძღვნიდაო [1]...

იგულისხმეთ, თუ ეს ჩვენება ალ-აინისა რა ნაირად ჰგავს ძველს ქართულს ჩვეულებას, ზემოთ უსლარისაგან აღნიშნულს!

სტუმართ-მოყვარეობის გარდა ქართველი განითქვა აგრეთვე ქერივ-ობოლთ, ღარიბ-ღატაკთა განკითხვით, კეთილ-საქმისათვის უხვად საფასის გაღებით. ძველნი გუჯარნი, ეკკლესიის წარწერანი, ძველნი წიგნნი, რომელნიც მრავლად მოიპოვებიან ქართველთ მონასტრების წმინდა სალავრებში პალესტინას, ათონზე და თვით საქართველოში, აგრეთვე სხვა-კლესიო მწერალთა (უცხოელთ) და იერუსალიმის პატრიარქთა (პაისისა და დოსითეოზის) წერილნი — ყოველივე ესე გადმოგვცემს, თუ რა სიუხვით, რა ერთგულებით ქართველთ მეფენი, დიდებულნი და ხშირად წვრილნიც განიკითხავდნენ ქრისტიანეთა, ტაძარ-მონასტრებთა და მამადიანთაც კი. საქართველოს საპოლიტიკო იერარქიაში განსაკუთრებული თანამდებობაც-კი არსებობდა — ქვრივ-დიდობა და მისი უფლება უმეტესად ის იყო, რომ სამეფო ხაზინიდამ განეკითხა ჩაგრულნი, ღარიბ-ღატაკნი და ქერივ-ობოლნი. განკითხვა ღატაკთა საქებურ ზნედ გადაქცეულიყო და ამიტომაც სასახლარი ქართველთა მეფეთათვის ასე არიგებს თავის მეგობარს:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე...

---

[1] იხ. „საქართ. ისტორ.“ ვახუშტისა შენიშვნა დ. ბაქრაძისა.

ვალს, მოგვივიდა ახალი ფერშალი, ძველი-კი გამოგვეთხოვა. საწყალს თვალი უკანა ჰრჩებოდა. ეს ხომ ასე მოხდა, მაგრამ საქმე ის არის, მოვიგეთ რამე ამ გარემოებით, თუ არა? ჯერ ვერას ვეტყვი, მხოლოდ მოგახსენებთ, რომ ამ დალოცვილმა ახალმა ფერშალმა ქართული „ინჩიც“ არ იცის! აბა, გეთაყვა, რა უნდა გავაგებინოთ ამას? ჩვენი ბოქაული იმით გვანუგეშებს, რომ ჩვენი სკოლაში კურს-შესრულებული ვინმე დაუნიშნოთ ფერშალს თანაშემწედ და გეშველებათო. მაგრამ ზოგი გლეხსა ჰკითხეთ, რას ამბობს.

ჭეშმარიტად გულ-საკლავია ამას წინად „ივერიაში“ მოყვანილი პატარა ობოლ-გლეხის ნიკო ქიტოშვილის წერილი. აგეთია იგი მით უმეტეს, რომ, როგორც სჩანს, ნიკოს წყლულს წამალი ჯერ არ ეშოვება. მეტი რაღა დარჩომია, უნდა გამაგრდეს და ითმინოს. მაგრამ რაღა ითმინოს, მგონია, მოთმინების ფიალა უძირო არ იყოს, ხომ აივსება-აივსება და გადმოვა რა, მეტყვიან!

ობლების დაჩაგვრა „არ-ახალია, ძველია“ და ყველგან ხდება, სადაც-კი არა ღირსეულ კაცებს ჩავარდნიათ ხელში გლეხების სვე ბედი. საინგილოშიაც ხშირად ერთმევათ ობლებს უკანასკნელი ლუკმა. ამისი მაგალითი მრავალია, ჯერ-ჯერობით-კი მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: ერთი ობოლი ოჯახია სოფ. კახში, ტ—ებისა. ამათთვის ცხოვრების სახსრის მისაცემად „ქრისტიანეთა უფროსმა მამასახლისმა“, რომელიც ობლების მოამვლელად ითვლება, საჯაროდ დაჰყიდა ზემოხსენებულ ობლების საქონელი, სულ 400 მან. ეს ფული ჩვენის ბოქაულის ბრძანებისამებრ ორს კაცს გადაეცა შესანახავად. ბოლოს ისევ იმ მამასახლისს გამოურთმევია მათთვის, ბოქაულმა ბრძანაო...

ობლების დედა ჰხედავდა, რომ აღარც ფული მისცეს და საქონლიდამაც ვერას გაჰხდა (მოაშორეს, დაჰკარგა). აღგა, მიჰმართა ხან ბოქაულს, ხან მაზრის უფროსს, მაგრამ არა გამოვიდა-რა. ბოლოს, შარშან, „გერანალი“ მობრძანდა და მას მიართო თხოვნა. ამან ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, უბრძანა მაზრის უფროსს, რომ დაეკმაყოფილებინათ ობლები. ამას შემდეგ მაზრის უფროსმა ექვსს ჩვენებურს მოთავე გლეხს ჩააბარა გამოერთმიათ ის 400 მანათი მამასახლისისათვის, მიებარებინათ ხაზინაში და სარგებელი ეძლიათ ობლებისთვის. მაგრამ მამასახლისი იძახის, რომ ამ ფულიდამ 100 მან. მე დამეხარჯა და 300 მან. ბ—საო. შემდეგ, როცა ვიშოვით, მოგცემთო. ობლები-კი პირში ჩალა-გამოვლებულები დარჩნენ და ამ ექვსმა კაცმა არ იცის, ვის მიჰმართოს.

წერეთელი

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემი უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ჩემდამო რწმუნებულის სკოლის მზრუნველს, სოფ. ტოლათ-სოფელში მცხოვრებს ივანე გივისძეს წიკლაურს, რომელიც აგერ ეს მეხუთე წელიწადი იქნება, რაც ჰმზრუნველობს და დიდს შემწეობას უწევს სკოლას როგორც ნივთიერად, აგრეთვე სიტყვიერადაც. ბ-ნი წიკლაური უსასყიდლოდ აძლევს სკოლას, როდესაც-კი დასჭირდება, კრამიტს და აგურს თავის საკუთარის ქურახანიდამ.

ამტნის-ხევის სკოლის მასწავლებელი
ვასილ კოპტონაშვილი

◆

უცხოეთი

გერმანია. პრუსიის დეპუტატთა პალატაში დიდი კამათობა იყო საშუალო სასწავლებლების გადაკეთების გამო. კამათობა გამოიწვია სახელდობრ იმ გარემოებამ, რომ გერმანიაში ბევრად მეტი კლასიკური გიმნაზიებია, ვიდრე რეალური და, ამას გარდა კლასიკურს გიმნაზიებს ყოველგვარი უფლება აქვთ, ხოლო რეალური სასწავლებლები მოკლებულნი არიან ამ უფლებასაო. კლასიკურის გიმნაზიიდამ დაუბრკოლებლივ იღებენ უნივერსიტეტებში, რეალურიდამ-კი არაო, და ამის გამო კლასიკური გიმნაზიები გავსებულია შეგირდებითაო. დეპუტატმა შმელცულმა ბევრი ილაპარაკა რეალურის სასწავლებლის სასარგებლოდ. ასევე ილაპარაკა დეპუტატმა შენკენდორფმა. კლასიკურ გიმნაზიების უპირატესობა ბევრს არ მოსწონს. 23,000 კაცმა ხელი მოაწერა იმ ქაღალდს, რომელიც მიართვეს მთავრობას და სთხოვეს, რომ ეგ უპირატესობა მოისპოსო. პრუსიაში სულ 533 შუათანა სასწავლებელია და ამათში მხოლოდ 53 ისეთი, რომელშიაც ძველს ენებს არ ასწავლიან. ყველა კლასიკურს გიმნაზიებში აძლევს დღეს შვილებს, თუმცა კლასიკური სწავლა-განათლება არ ეშესაბამება ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებას. ვინც შედიან კლასიკურს გიმნაზიებში, ისინიც ყველანი ვერ ათავებენ სწავლას. მხოლოდ ერთი მეექვსედი ძლივს ათავებს კურსს იმათში, ვინც პირველს კლასში შედის, დანარჩენებს უმცროს კლასებიდამ ითხოვენ და იქიდამ გამოსულებს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სწავლა აქვთ და არა დამთავრებული და დასრულებულიო. ამაზე განათლების მინისტრმა ფონ-გოსლერმა ის უპასუხა ორატორებს, რომ თითონ მთავრობა სცდილობს ეხლა შეამციროს გაძლიერებული სწავლა ძველის ენებისა გიმნაზიებში და შესამჩნევად შეამცირა კიდეცაო, ხოლო ჯერ თითონ სწავლა-განათლების საფუძვლის შეცვლა ადრეა, რადგან ქვეყანას მაგ საგნის შესახებ გადაწყვეტილი არა გამოუთქვამს რაო. ეხლანდელი წესი სწავლა-განათლებისა რომ მართლა ისე უვარგისი იყოს, როგორც აქ ითქვა, მაშინ გერმანელების მეცნიერება ისე წარმატებული და პატივცემულიც არ იქნებოდა ყველგან ევროპაშიო. ბოლოს მსწავლულმა ვირხოვმა ილაპარაკა. ვირხოვმა სთქვა, რომ მე ბერძნულიც ვიცი, ძველი ებრაულიც, მაგრამ მგონია, რომ სამკურნალო მეცნიერებაში სრულიადაც არ არის საჭირო ძველის ენების ცოდნაო.

ინგლისი. პარნელს ევროპის ყველა ქვეყნებიდამა და ამერიკიდამ მრავალი წერილები და დეპეშები მიუღია თანაგრძნობისა. ყველანი ულოცვენ გამარჯვებას იმ დავაში, რომელიც მან მოუგო გაზეთს ტაიმს'ა. უფრო მომეტებულნი ამ მიმლოცველთა შორის ისეთები არიან, რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ ირლანდიის საქმეს. ეხლა-კი სწერენ პარნელს, რომ ჩვენის მომხრეების იმედიცა გქონდეს ჰომრულის საქმეშიო.

— პარლამენტის ახალს სესიაში განსახილველია სხვათა შორის კანონ-პროექტები ვუდალისა ქალების საარჩევანო უფლებათა შესახებ, და გენიჯისა, რომ ქვრივს კაცს ნება ჰქონდეს შეირთოს ცოლად და თავისის გარდაცვალებულის ცოლისა.

— ამ ახლო ხანში სამგან არის არჩევანები დანიშნულები დეპუტატებისა. ერთგან ირჩევენ ხოლმე კონსერვატორებს, ხოლო ორგან—ლიბერალებს.

სერბია. სერბიაში საყურადღებო ამბავი მოხდა. სერბიის მეფემ მილანმა, რომელიც ჯერ ისევ ახალგაზდა კაცია, უარი სთქვა მეფობაზედ და სამეფო ტახტი თავის მცირე-წლოვანს შვილს ალექსანდრეს დაულოცა. ვიდრე იმისი შვილი სრული-წლოვანი შეიქმნება, სახელმწიფოს გამგეობა მილანმა მიანდო სამს რეგენტს, რომელთა შორის ერთი რისტიჩია. მიზეზი ნამდვილად არავინ იცის, სახელდობრ რად უარ-ჰყო ტახტი მილანმა. გაზეთები უფრო ამას ამბობენ, რომ მილანი ბოლოს დროს ძალიან ცუდს გუნებაზე იყო ხოლმე, ნერვები მოეშალა და სახელმწიფო საქმეებზედ გული აიყარაო. ზოგნი ამბობენ, რომ მილანს განზრახვა აქვს გრაცში იცხოვროს და მეორე ცოლი შეირთოსო. მილანმა თავისი ქონების საქმე ასე მოაწყო: მეფობაში იღებდა 1.200,000 ფრანკს. ეს ფული გაიყო ორად. 600,000 ფრანკს მიიღებს წელიწადში მილანი, ხოლო 600,000 ფრანკს ახალი მეფე ალექსანდრე. ამ 600,000-დგან თითო რეგენტს მიეცემა 60,000 ფრანკი, სულ 180 ათასი. თითონ მეფეს დარჩება, მაშასადამე, 420 ათასი.

◆◆

წვრილი ამბები

ამას წინად პარიჟის გაზეთ „France“-ს კანტორას მიუღია დასაბეჭდად განცხადება ერთის გერმანელ ვაჭრისაგან. ეს გერმანელი ვაჭარი თავისს განცხადებაში ამბობს, რომ მინდა საფრანგეთის ვაჭრებთან ურთიერთობა და დამოკიდებულება ვიქონიოო. აი რა უპასუხნია ფრანგულის გაზეთის რედაქციას თავისის მხრით: „მოწყალეო ხელმწიფევ! მზადა ვართ დავაბეჭდოთ თქვენ მიერ გამოგზავნილი განცხადება, მხოლოდ ვშიშობთ, რომ ვაი თუ ფასი გეძვიროთ. ჩვენ ვთხოულობთ ხუთ მილიარდ ფრანკს. თუ გამოგვიგზავნით ამ ფულს ამ თავითვე, დაუბრუნებთ საფრანგეთის მთავრობას იმის სამაგიეროდ, რაც გაიტანეს და გაიტაცეს გერმანელებმა 1871 წელს საფრანგეთიდგან. ამასთან გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ თუ ვინიცობაა ჩვენი წინადადება არ მოგეწონათ, ვეცდებით და ვიზრუნავთ, რომ თქვენი განცხადება არც ერთმა ფრანგულმა გაზეთმა არ დაბეჭდოს. თქვენსავე ქარქში იყავით, ღირსო და პატივცემულო გერმანელო, ეს უფრო მოგიხდებათ. არა მაქვს ზრდილობა გამოგეთხოვოთ! ლიუსიენ ნიკო, რედაქტორი გაზეთის „France“-სა“. კენიგსბერის «Hartungsche Zeitung»-ი ამბობს ამის შესახებ: „ბ-ნი ნიკო მეგობარი უნდა გაჰხდომოდა სარა ბერნარს, რომელმაც განაცხადა, რომ ვითამაშებ ბერლინის სცენაზედ, თუ საფრანგეთს წართმეულს ელზას-ლოთრენს დაუბრუნებთო. ამ შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა თითქმის ყველაფერს ერთბაშად დაიბრუნებდა. ამას გარდა საყურადღებოა უანგარობა ბ-ნის ნიკოსი, რომელიც მზად არის განცხადება მუქთად დაბეჭდოს, თუ ხუთ მილიარდ ფრანკს დაუბრუნებთ საფრანგეთსაო“.

— მომავალს აგვისტოში სწორედ ასი წელიწადი არსებობისა უსრულდება „Journal des Débats“. ამ დღესასწაულისათვის ამზადებენ ისტორიას გაზეთისას, რომლის ბედ-იღბალი საფრანგეთის ბედ-იღბალთან მჭიდროდ არის შეერთებული. ამ ისტორიის შედგენაში მონაწილეობას იღებენ წევრნი საფრან-

---

შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი არას მქონები...
მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოჰგონები“.

ანუ:

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია“

შავთელი შეამკობს თამარ დედოფალს:

„თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური,
უსახლთ სართული
მამა ობოლთა
მსაჯული ქვრივთა
შიშველთ სამოსლად მონიჭებული;
მოხუცებულთა,
შრომით რებულთა
სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი“

ქსენონებისა, საერო სადგურთა, ხიდთა და სხ. აგება ფრიად კეთილი, სამადლო საქმეა, ვითარცა გალობს რუსთველი: საჭურჭლიდამ:

მისცა ზოგი ხანაგთა, ზოგი ხიდთა გასადებლად.

სამადლო საქმე ქართველ კაცს ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა. იგი ზნე ისტორიული ტრადიციაა ქართველთა ერისა. ფშავ-ხევსურეთ-თუშეთში, სვანეთში და სხ. დღესაც მეზობლის მოსისხლე მტერიც რომ მოგადგეს კარზე და თავ-საფარი გთხოვოს, უნდა მიიღო, უმასპინძლო და მას, ვიდრე შენსას არის, ვერავინ ხელს ვერ ახლებს. ხიდებისა და ეკლესიების აგება და სხვა საქველ-მოქმედო საქმის გაკეთება დღესაც საქართველოში, საზოგადოდ დიდს, პატივშია. ინგილოები ამბობენ, ვინც ეკლესიას აგებს, იმას ყველა ცოდვები ეპატიებაო; ვინც ხიდს დასდგამს, დიდი მადლიაო; ვინც დიდს გზაზედ წყალს გაიყვანს, ან ქვას ამოსთხრის, იმისი სული საიქიოს უწყლოდ არ დაიწვის და ცხონდებაო; ვინც უდაბნოში საჩრდილობელად ხეს დარგავს და ახეირებს, მადლიაო და სხ. და მართლადაც, ინგილონი სიტყვით ხომ ჰლაღადებენ ამ მაღალს აზრებს, საქმითაც ასრულებენ. საინგილოში არა ერთგან და ორგან ჰნახავთ შორიდან გამოყვანილ წყალს, ამოთხრილ ქვას, მონასტრისკენ გათხრილ და გაყვანილ გზას, აგებულს ეკლესიას და სხ. ქველის-მოქმედნი დღესაც ცოცხალნი არიან. ინგილონივე ამბობენ, კაცი, მათხოვარა თუ კარს მოგადგა, გინდ მდიდარი იყოს, უნდა განიკითხო. შენ ღარიბის კვალობაზედ გაიკითხე და, თუ მდიდარია, მასვე მოეკითხვის და ცოდვად ჩაეთვლებისო. ამ გვარივე წესები საქართველოს ყველა კუთხეში იხილება. გუჯრები მე-XI—XIX-მდე გადმოგვცემენ აგრეთვე მაგალითებს იმისას, რომ საქართველოში არა ერთი ეკლესია აგებულა კერძო კაცის მომჭირნეობით, არა ერთი არხი გამოყვანილა და სხ.

ქართველთ ნადიმობა, გულ-უხვობა და „ძველებური, ჩვენებური“ ლხინი ხომ ძველადგანვე სახელ-განთქმულია თავის კლასიკურ მრავალ-ჟამიერითურთ. საკვირველიც არ არის. ქართველთ „სუფრას“ საკუთარი ხასიათი აქვს. ჩვენი სუფრა არის მომასწავებელი პატარა სამთავროსი, სადაც ჰმეფობს ტოლუმბაში თავის მოხელეებით და ერთგულ ქვეშევრდომებით. ნებივრად სმა-ჭამა, სადღეგრძელოები, მრავალ-ჟამიერი ხამუშ-ხამუშ და შიგა და შიგ საამო ლექსები, გაშაირება, ზმა და სხ.,—ყოველივე ეს ქართველთ სუფრას ამშვენებს, ამკობს და ლაზათს აძლევს. სხვა ხალხებში ამის მაგვარს ვერას ვხედავთ. ჩვენი სუფრა ჭირისუფალსაც-კი მოალხენს ხოლმე და ერთს წუთს დაავიწყებს ყოველსავე სიმწარეს ამა სოფლისას..

რახან ჩვენს სუფრაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ჩვენს მუსიკაზედაც, რომელიც აუცილებელი ელემენტია სუფრისა.

როდის, საიდგან, ან როგორ შემოვიდა ჩვენში მუსიკა და სამუსიკო საკრავები, ძველის ისტორიიდგან არა სჩანს, ხოლო წმიდა ნინოს ცხოვრებაში გვხვდება საკრავი „საყვირი“, შემდეგ საუკუნოებში-კი, მეტადრე მე-X—XI საუკ. დაბდაბი, ბუკი და სხვ. რუსთაველის პოემაში-კი ნადიმობა-მეჯლიშობასა და ქორწილის აუცილებელი მუსიკა არის წინწილი, ჩანგი-ჩაღანა, ქოსდაბდაბი, დაფი, ქნარი, ჩონგური, ომებისა და ჯართა დახედვა-გათამაშებისა-კი ბუკი, ტაბლაკი, ნობი და სხვ. რუსთაველის დროიდგან ჩვენამდე ამ საკრავთა უმეტესი ნაწილი გავიდა ხმარებიდამ. ეს მოჰხდა ერთის მხრით სპარსთა ზედგავლენისაგან როსტომ მეფის დროს მე-XVII საუკუნეში და მეორეს მხრით ქართველთავე სულიერ მოთხოვნილებისაგამო ახალ-ახალ საკრავების შემოსაღებად. დღეს საქართველოში საზოგადოდ იხმარება შემდეგი საკრავები: დაირა, დიმპლიპიტო, თარი, ჭიანური, ზურნა, დოლი, სანთური, ფანტური, სალამური, სტვირი, მესტვირული გუდა, ნაღარა, დაფი და ჩონგური. თვით სახელები საკრავებისა გვიჩვენებენ, თუ რომელი ამათგან ნაციონალურია და რომელი შემოღებული გარედგან. მე-XII საუკ. საკრავებიდგან როგორც სჩანს დაშთენილია მხოლოდ ჩონგური და დაფი. სამშობლო საკრავებით გაიზომება ნიჭი და პოეტური შემოქმედობა ხალხისა. რაც ეს ნიჭი ძლიერია, იმდენად მისი საკრავებიც განვითარებულნი არიან, იმდენად იგინიც ზედგამოჭრილნი არიან სულის მოთხოვნილების დაგვარად. ბუნებითად პოეტად, მოლექსე-მოშაირედ დაბადებულ ქართველს ფრიად უხდება ფანტურისა, ჩონგურ-ჭიანურის საამოდ ამოსკვნილი ღვთიური ხმები. მუსიკა და სიმღერა, რითაც მდიდარნი არიან ქართველნი, აგრეთვე ერთი დარგია წარმატებისა; დაფი და დაირა, ამბობს ტეილორი, დასაწყისია მუსიკისა. იგინი ცივილიზაციას დასაწყისიდგანვე გამოჰყვებიან. ხოლო სალამური და სიმებით განწყობილი საკრავი კუთვნილებაა წარმატებულის სამუსიკო ხელოვნებისაო.

ესომ

* * *

გუთის აკადემიისანი: ჭერცოგი ომალისა, შერბიულიე, ალექსანდრე დიუმა, გრეარი, ლეგუვე, ლემუანი, რენანი, სე, ჟიულ სიმონი, ტენი და კოგიუე.

— ალერსფორდში ამას წინად ერთს ქქიმს დიდის მოხერხებით გადაუსხავს სისხლი. ერთი ავადმყოფი ქალი სიკვდილის პირად ყოფილა, ექიმს ძარღვი გაუხსნია და თავისი საკუთარი სისხლი გადაუსხავს. ორს კვირას შემდეგ ავადმყოფი ფეხზედ წამომდგარა.

— სტამბოლში ამ დღეებში არა-ჩვეულებრივი ავაზაკობა მომხდარა. 15 წლის ბიჭს, მოსამსახურეს ერთის მეპურისას, ჭრგებია მოგება ოსმალეთის სესხისა—150,000 მანათი. ოსტატს გაუგია ეს ამბავი, ბიჭი ქურაში დაუწვავს და თითონ წასულა ფულის მისაღებად მოგების ბილეთით. დახლიდარს ბანკისას უცვნია, რომ გუშინ სხვა მოვიდა ამ ქაღალდითაო, და არ მიუცია თურმე ფული. მეპურე დაუპატიმრებიათ და დანაშაული უღიარებია.

◆

გასართობი

ამ ერთის კვირის წინად ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა მდიდარის ოცნებით განთქმულის ჟიულ ვერნის წერილი, დაბეჭდილი ჟურნალს „Florum“-ში. ამ წერილში ეს ჩვენის დროის გამოჩენილი მწერალი ფანტაზიის ძალით ასწერდა გაზეთს „Earth Cronile“-ს, რომელიც ვითომ 2889 წელს უნდა იბეჭდებოდეს. აი კიდევ რამდენიმე ამბავი ამ მერმისის გაზეთის შესახებ:

რაღა თქმა უნდა, რომ იმ დროს მეცნიერება ძალიან წინ წასულია. ადამიანიშვილნი ჰაერში ჰფრინავენ; ამერიკა ევროპასთან მილით არის შეერთებული; ფონოგრაფს ყოველ გვარის ლაპარაკის გარდაცემა შეუძლიან; იმ ტელეფონს გარდა, რომლის შემწეობით დიდს მანძილზედ შეიძლება მოლაპარაკება, არის აგრეთვე ისეთი ტელეფონიც, რომელიც ნახატს გადასცემს ერთის ადგილიდგან მეორე ადგილზე, ასე რომ ნიუ-იორკიდგან შეიძლება პარიჟში ოთახი და ოთახის მოწყობილობა დაინახოს კაცმა. ამას გარდა განცხადებანი ღრუბლებზე იხატება და ჩვენს დედამიწას პლანეტებთან დამოკიდებულება აქვს. ამ ახირებულის გაზეთის რედაქტორი, როგორც ვსთქვით, სმიტია, გაზეთს 85.000,000 ხელის-მომწერი ჰყავს და თვით სმიტს 15.000.000,000 მან. შეძლება აქვს.

დილა ადრიან რედაქტორი რეპორტერთა დარბაზში გასინჯავს ყველაფერს, შემდეგ ასტრონომთა დარბაზში შევა და ეკითხება ერთს ყმაწვილს კაცს, რომელსაც ახლად დაუწყია ასტრონომობა და იმდენად ნიჭიერიკა, რომ თვალ-საჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს ჟურნალისტიკაში:

— აბა, კაშო, ახალი ამბავი რა არის?

—ფოტო-ტელეგრამები მივიღეთ მერკურიიდგან, ვენერიდგანა და მარსიდგან.

— მარსიდგან მიღებული ამბავი საინტერესოა?

—ძალიან. იქ რევოლიუციაა თურმე ამ ჟამად.

— იუპიტერიდგან?

— მაგდენად არაფერი. იმათი ნიშნები ვერ გავიგეთ, ვერაფერს მივხვდით ჯერ-ჯერობით. იქნება ჯერ ვერ გვაწვდენდნენ.

— ეგ-კი არაფრად სასიამოვნოა,—შენიშნა ბ-ხმა სმიტმა და იქიდგან ცუდს გუნებაზე გამოვიდა.

საათმა შუადღე დაჰკრა—სამხრის დრო მოვიდა. ბ-ნი სმიტი თავისს ოთახში ბრუნდება. იქ, სადაც დილას საწოლი იდგა, ეხლა იატაკიდგან გაშლილი სუფრა ამოდის.

აგერ რედაქტორმა სმიტმა ღილს ხელი დააჭირა და პირველი თავი საჭმლისა მოითხოვა. იმ დროის შეძლებულ კაცთამებრ, სმიტს საკუთარი მზარეული არა ჰყავს, აბონემენტი აქვს აღებული „დიდებულის სამზარეულოსი“, რომელიც, მილების საშუალებით, მთელს ქალაქში არიგებს საჭმელებს, რადგან ყოველ დღე ყოველ გვარს საჭმელს, რაც-კი სულსა და გულს უნდა, აკეთებს და ამზადებს.

სამხარს შემდეგ ბ-ნი სმიტი გამოვა და ჩაჯდება ჰაერის ეტლში, რომელიც ფანჯარასთან ელის.

— საით მიბრძანებთ, ბატონო ჩემო?—ეკითხება კონდუქტორი.

— ნიაგარისკენ წადი.

ნიაგარის კიდეზედ სმიტს აკუმულიატორის ქარხანა აქვს. რედაქტორი ამ ქარხანაში კარგა ხანს დაჰბანდეს. სახლში იქიდგან სმიტი ბრუნდება ნაშუადღევის ოთხს საათზედ, სწორედ მაშინ, როცა დარბაზობა აქვს დანიშნული.

დარბაზობას შემდეგ დარჩა მარტო სმიტი, მოიქანცა და გაიშოტა უძრავს სავარძელში. შემდეგ ერთს ღილს ახლო თითი და მოისმა სხვა-და-სხვა მშვენიერი ჰანგი მუსიკისა.

სადილის დროს ბ-ნმა სმიტმა ფოტო-ტელეფონის საშუალებით გადაჰხედა პარიჟს. დაინახა, რომ იმისი ცოლი სადილად ჰზის პარიჟში და დიდად უკმაყოფილოა მარტოობით.

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა დაბრუნდები სახლში?—ეკითხება ბ-ნი სმიტი.

— დღეს საღამოს,—უპასუხებს ცოლი.

— ძალიან კარგი. რითი წამოხვალ—მილით, თუ ჰაერის მატარებლით.

— რასაკვირველია, მილით.

— რა დროს იქნები აქა?

— თერთმეტს საათზედ.

საღამოზედ სმიტს ბანაობა მოუნდა, დააჭირა ხელი ერთს ღილს და რამდენსამე წამს შემდეგ ხმაურობა მოისმა. ამ ხმამ ცოტ-ცოტა იმატა, უეცრივ გაიღო კარები და ოთახში საბანებელი შემოგორდა.

როცა იბანა, სმიტმა დაიძინა თურმე. აქ-კი, იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენებრ დაიძინებდა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მარტი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	7 43
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	148¾
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 10
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	275½
—მეორისა	— „	— „	248½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	97¾	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	98¼
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	83 „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპთ (1889) წელიწადი.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

5 დღე კვირა. წმ. მოწ. კონონისა. კათოლ. თეოფილესი. მაჰმად. მე-15 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 6—10. მთვარე 16 დღისაა.

6 დღე ორშაბათი. ორმოც-და ორთა მოწამეთა ამორეველთა. კათოლ. ლუდგარდისა. მაჰმად. მე-16 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— გაიმართა ტფილისში პირველი სამეურნეო გამოფენა, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 6—11. მთვარე 17 დღისაა.

7 დღე სამშაბათი. მღ.-მოწ. ხერსონეთის ეპისკ. ვასილისა, ეფრემისა, კაპიტონისა და სხვათა. კათოლ. ფელიციტასი. მაჰმად მე-17 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 6—12. მთვარე 18 დღისაა.

ბაზრისადები ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3½ „
„ 2 „	3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2 –	4 „
„ „ 3 „	3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 „
მე-2 ხარისხისა . .	4 „
მე-3 — . . .	„
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9 „
„ 2 „	8 „
სუკი . . .	16 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	10 „
ღორის ხორცი . . .	„ „
„ 2 „	„ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ჰსურთ სოფლად სამი მოსამსახურე გოგო: ერთი მზარეული ორი— ხელზედ მოსამსახურე, რომელთაც უთუოდ უნდა იცოდნენ პოლების წმენდა სანთლით. სოფელი ტფილისიდამ 30 ვერსზეა, კახეთის მხრისკენ. ბინა მსურველთა: მიხეილის ქუჩა, „Москов. Номера“, № 1. იკითხონ დილით 9 საათამდე.

(2—2)

საზოგადო წასასმელი
ლითონთა საწმენდავად.
საუკეთესო ღონისძიებაა
!მთელის ქვეყნის მირ-ზედ!

უმთავრესი დეპო იმყოფება სამხრეთ რუსეთისათვის ძმათა პეტრო კოკონოებთან ოდესას.

UNIVERSAL-METALL-PUTZ-POMADE
A.V. & Co
Schutzmarke.
ADALBERT VOGT & Co
BERLIN
FRIEDRICHSBERG.
Preise goldene u. silberne Medaille

ისყიდება ყველგან.

მყიდველებსა ვსთხოვთ, რომ ყურადღება მიაქციონ ჩვენს ფირმასა და საფაბრიკო მარკას.

(26—14)

ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების
გამგეობა

პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის ოც-და-ექვსს, საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამ კრების საქმე არის:

1) განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში საზოგადოების ოპერაციებზედ 1888 წლის განმავლობაში და დაამტკიცოს მონაგების განაწილება.

2) განიხილოს წინადადება წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლაზედ.

3) დაინიშნოს რიგი და ზომა იმ გასამჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მართველობაში თანამდებობის პირთ.

4) განიხილოს და დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა 1889 წლისათვის.

და 5) აირჩიოს წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერი: სამი დეპუტატი რჩევისა, გამგეობის თავმჯდომარე და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრები და ამ უკანასკნელთა კანდიდატები და სხვა თანამდებობის პირნი, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

3—2

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან. კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან	„ 40

სასტუმრო
“პურ-ღვინო-„ში
(გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრან-ბატონის სახლეში)

მთელის დიდ მარხვის განმავლობაში, **სახსნილოს** გარდა, გექნება ყოველ გვარი **საგანგებოდ მომზადებული გურული** და **აჭაური სამარხვო საჭმლები.**

(5—5)

ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების
ტფილისის ბაღოსნობის სასწავლებელში

იყიდება სხვა-და-სხვა ხილისა, ოთახის მოსაწყობელი და ყვავილის მცენარენი. ეს მცენარენი დარგულია ერთის წლიდგან ოც წლამდე.

(10—10)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით . . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 ›	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 ›	4 „ 75 „
9 „ . . .	8 „ — „	3 ›	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 ›	2 „ 75 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 ›	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, **№ 5.**

Доз. ценз. Тифлисъ 4-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე